ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N92

ქ.თბილისი

2 დეკემბერი, 2021 წელი
14$^{00}$საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

| | |
|---|---|
| მიხეილ ამაშუკელი | ლევან არველაძე |
| გიორგი ბირბიჩაძე | გულია გოცირიძე |
| ოთარ გრიგოლია | ლევან დავითაშვილი |
| ერეკლე კუხიანიძე | ანა ლაშხი |
| ლილე ლიპარტელიანი | მიხეილ მესხი |
| გიორგი მუსხელიშვილი | თინათინ ნიბლოშვილი |
| ვაჟა ოთარაშვილი | ლევან ჟორჟოლიანი |
| დათო რურუა | ნინო რუხაძე |
| რევაზ სოხაძე | დავით უთმელიძე |
| ბორია ფირცხელიანი | ვახტანგ შაქარიშვილი |
| გიორგი ჩაკვეტაძე | ავთანდილ ცინცაძე |
| ვლადიმერ ძნელაძე | დავით ჭელიძე |
| ალექსანდრე ხუჯაძე | ლევან ჯაფარიძე |
| ილია ჯიშკარიანი | ქეთევან ჯოხაძე |

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისთვის და გაწეული საქმიანობისთვის. აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, იყო ბევრი პრობლემა, თუმცა მეექვსე მოწვევის საკრებულომ ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ. მისი თქმით, „თბილისი, ოთხი წლის თავზე არის ნამდვილად განსხვავებული", რაც საკრებულოს თითოეული წევრის და ქალაქის მთავრობის წევრების დამსახურებაა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მეექვსე მოწვევის საკრებულოს წევრების ნაწილი საქმიანობას განაგრძობს მეშვიდე მოწვევის საკრებულოში, ნაწილი კი - სხვადასხვა მიმართულებით და იმედი გამოთქვა, რომ თითოეული მათგანი იზრუნებს თბილისის უკეთესი განვითარებისთვის.

საკრებულოს წევრებმა: ვახტანგ შაქარიშვილმა, ოთარ გრიგოლიამ, დავით უთმელიძემ, მარიკა დარჩიამ, გიორგი ჩაკვეტაძემ, ქეთევან ჯოხაძემ, ნინო რუხაძემ და ვაჟა ოთარაშვილმა მადლობა გადაუხადეს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს, უსაფრთხოების და დასუფთავების სამსახურის თითოეულ თანამშრომელს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, თბილისის მთავრობის წევრებს და მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს გაწეული საქმიანობისთვის. აღნიშნეს, რომ მეექვსე მოწვევის საკრებულომ ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო თბილისის და თბილისელების კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისთვის. წარმატებები უსურვეს მეშვიდე მოწვევის საკრებულოს და იმედი გამოთქვეს, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმე გაკეთდება დედაქალაქისა და მისი მოსახლეობისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს („EBRD") შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III"-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

5. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.550) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.10.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში (მიმდებარედ ნაკვეთი N10/022, საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული 31.32 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.057.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ.: 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

მომხრე – 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს და აპარატის თანამშრომლებს თანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი საკრებულოს საქმიანობა კიდევ უფრო წარმატებული და შედეგიანი იქნება ჩვენი დედაქალაქისთვის. ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა წარმოდგენილ საკითხზე და განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებები მეტწილად გამომდინარეობს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან და ეხება: საკრებულოს წევრების არჩევის პროპორციის ცვლილებას; საკრებულოს წევრის ადმინისტრაციული წესით ან აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შემთხვევაში, საკრებულოს მხრიდან გასატარებელ ღონისძიებებს; საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობების დაფინანსებას და თანამშრომლების რაოდენობას; საკრებულოში ფრაქციების შექმნას და აქედან გამომდინარე საკრებულოს კომისიების დაკომპლექტების წესს; ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე განსახილველ საკითხებს და მისაღებ გადაწყვეტილებებს; რეგულაციების დადგენას საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების ვერ შესრულების შემთხვევაში და თბილისის მერის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭიროა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა კომისიების დაკომპლექტების, რაოდენობის დადგენისა და საკრებულოს წევრის ადმინისტრაციული თუ წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში დასკვნების მომზადების მიმართულებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიაში რანგის ცვლილება ერთ საშტატო ერთეულზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს („EBRD“) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III“-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ სესხის თანხა შეადგენს 83000000 ევროს, რომელიც, ხელშეკრულების ფარგლებში, მოხმარდება ახალი 18 მეტრიანი ავტობუსების შესიდვას და ამ ავტობუსებისთვის ახალი დეპოს მშენებლობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.550) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 90 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 89 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2006-07 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.10.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 64 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში (მიმდებარედ ნაკვეთი N10/022, საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 93 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2008-11 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 45 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული 31.32 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.057.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 31 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 99 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 1999 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი, რომლის ფარგლებშიც, კერძო მესაკუთრეს გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე 1150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტს გადმოეცემა კერძო საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთი, რომელთაგან ერთი, 152 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარეობს მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის, ხოლო მეორე, 3224 კვ.მ. მიწის ნაკვეთი,

მდებარეობს თბილისის შემოსასვლელში, სადაც დგას „თბილისის" აღმნიშვნელი პირველი ნიშანი. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 10000 ლარს, რასაც კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

13. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ.: 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 10 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი